ჭაჭუნის აღკვეთილი

ვიზიტორთა ქცევის წესები

<u>ვიზიტორთათვის დაშვებულია:</u>

- მონიშნულ ბილიკზე მანქანით და ფეხით გადაადგილება
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა სპეციალური ნებართვით
- საპიკნიკე და საკემპინგე ადგილებით სარგებლობა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში
- ცეცხლის დანთება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში
- ფლორასა და ფაუნაზე დაკვირვება
- თევზჭერა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში

<u>ვიზიტორთათვის არ არის დაშვებული:</u>

- ნადირობა, ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების, ცეცხლსასროლი იარაღის ან ნებისმიერი ისეთი ნივთის ტერიტორიაზე შეტანა, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს
- გარემოს დანაგვიანება
- შინაური ცხოველის ტერიტორიაზე შეყვანა
- ვანდალიზმი, ბუნებისა და ინფრასტრუქტურის დაზიანება
- მცენარეების ან მათი ცალკეული ნაწილების, ქანების ან ნამარხი მასალების აღება
- ფაუნის ნებისმიერი წარმომადგენლის დაჭერა, გამოდევნა ან ზიანის მიყენება
- ხმაური
- სპეციალური ნებართვის გარეშე ბუნებრივი და კულტურული მასალების შეგროვება
- საქართველოსთვის უცხო ორგანიზმების შეყვანა და გავრცელება
- ცეცხლის დანთება (სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა)
- თევზჭერა (სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა)
- მოტორიანი ტრანსპორტით გადაადგილება (მოტოციკლი, კვადროციკლი, ბაგი) და საფრენი აპარატის გამოყენება
- ზედამხედველის გარეშე 18 წლამდე მოზარდის შესვლა
- მოწევა დახურულ სივრცეში
- ბანაობა შიდა წყალსატევებში

<u>გაფრთხილება:</u>

- სასურველია უხეში ქსოვილის შარვლის, მაღალყელიანი სალაშქრო ფეხსაცმლის ჩაცმა
- თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
- თან იქონიეთ საველე საკვები და წყალი
- უამინდობის (ძლიერი წვიმა, ქარიშხალი, დიდთოვლობა, ნისლი) დროს, ვიზიტორთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მარშრუტით სარგებლობა არ არის რეკომენდებული.
- სასურველია გიდის ან გამყოლის თანხლება
- არაფხიზელ მდგომარეობაში ტერიტორიაზე შესვლა არ არის რეკომენდებული
- თქვენ იმყოფებით ველურ ბუნებაში, სადაც ბინადრობენ გარეული ცხოველები და ქვეწარმავლები, არ გადაუხვიოთ ბილიკიდან, იმოძრავეთ ნელა და ყურადღებით, მოერიდეთ მწყემსების ძაღლებს.
- უსაფრთხოების მიზნით მოერიდეთ ხეზე და კლდეზე ასვლას, კლდის/ხევის ან ფერდობის კიდესთან მიახლოებას
- მარშრუტებზე გადასაადგილებლად აუცილებელია მაღალი გამავლობის მანქანა
- გადაადგილებისას, შესაძლოა მიწაში ღრმა ხვრელებს გადაეყაროთ. ნუ მიუახლოვდებით მათ და არ გადაუხვიოთ ბილიკიდან. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ იმყოფებით ველურ ბუნებაში, სადაც სხვა ქვეწარმავლებთან ერთად, ბინადრობენ გიურზები, იმოძრავეთ ფრთხილად და დაკვირვებით. მათი დანახვის შემთხვევაში, ნუ შეშინდებით, შეჩერდით და მიეცით საშუალება, გაგეცალონ. ქვეწარმავლები არ არიან აგრესიულები და ადამიანს თავად თავს არ ესხმიან.
- არ დატოვოთ მანქანის კარი და ფანჯარა, კარავი, ზურგჩანთა ღია მდგომარეობაში
- დაცულ ტერიტორიებზე კომერციული/არაკომერციული მიზნით ფოტო და ვიდეო გადაღება საჭიროებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს/ტერიტორიული ადმინისტრაციის თანხმობას. განაცხადის შევსება და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა შესაძლებელია ვებგვერდზე: https://parks.ge/#/register
- ჭაჭუნის აღკვეთილის საზღვრებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში ფოტო/ვიდეო გადაღება საჭიროებს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დამატებით თანხმობას. სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში მოგზაურობისთვის, აუცილებელია შესაბამისი საშვის წინასწარ აღება. საშვის მისაღებად სპეციალური განაცხადის ფორმის შევსება შესაძლებელია ბმულზე: https://bpg.gov.ge/page/public-relations/information-for-tourists

წესების დარღვევის შემთხვევაში ვიზიტორი დაჯარიმდება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად